განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე (ხელოვნების ისტორია)

საქართველოს საპატრიარქოს წმ. თამარ მეფის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 2019 წლის 13 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი - 2019 წლის 30 ოქტომბერი

თბილისი
30/10/2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საპატრიარქოს წმ. თამარ მეფის უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	204577582
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი (ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი) 0213
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება #85

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რამუნე ბალევისიუტე-ლიუგიენე ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემია ლიეტუვა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ ჩხეიძე ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო სანადირაძე შოთა რუსთაველის სახ. საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"ხელოვნების ისტორიის" სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ისტორიისა და ხელოვნების თეორიის მკვლევარები და მასწავლებლები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. პროგრამას აქვს ექსკლუზიური მიმართულება ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების სფეროში: ხელნაწერი წიგნის მხატვრობა და ქართული ორქომჭედლობის ნიმუშების სამეცნიერო კვლევა. პროგრამაში ჩაბმული არიან ამ დარგის გამოცდილი მკვლევარები, რომლებიც ასევე მუშაობენ მუზეუმებსა და კვლევით ცენტრებში და ხელს უწყობენ არტეფაქტებზე წვდომას. საგანმანათლებლო პროგრამით გაწერილი მიზნებისსა და უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-8 დონის მიღწევა უზრუნველყოფილია კურსების შინაარსით, მოცულობითა და სწავლების მეთოდებით. სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, აქედან 50 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 130 კრედიტი - კვლევით კომპონენტს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტებს მიაწოდეს ყველა მოთხოვნილი მასალა. ექსპერტები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების გუნდს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე სტუდენტებსა და დამსაქმებლებს. ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტი და შეამოწმეს ბიბლიოთეკა და საკლასო ოთახები.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე**

სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შეფასებისას, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ პროგრამა მხოლოდ 2018 წელს ამოქმედდა. პროგრამას ჯერ კიდევ არ ჰყავს კურსდამთავრებულები, რომლებიც გამოავლენდნენ სწავლის შედეგების მიღწევის დონეს. პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია, რამდენადაც კომპონენტი 1.1 შეფასდა, როგორც შესაბამისი, ხოლო კომპონენტი 1.2 შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი; მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტი 2.1 შეფასდა, როგორც მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისი, კომპონენტები 2.2, 2.3 და 2.6 კი შეფასდა მეტწილად შესაბამისად და სტანდარტები 2.4 და 2.5 შეფასდა, როგორც შესაბამისი. მესამე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რამდენადაც ორივე კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 4.1 და 4.3 შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, 4.2 შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი და 4.4 შეფასდა, როგორც სტანდარტებტრან შესაბამისი. მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტებთან, რადგან სამივე კომპონენტი შესაბამისობაშია.

▪ **რეკომენდაციები**

1.2. უნდა გადაიხედოს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები, პროგრამის შესაბამის დონეზე. შესაძლებელია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გამოყენება. უნდა გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა უნარს შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს დოქტორანტებს, რათა მოამზადოს ისინი აკადემიური კარიერისთვის.

2.1.

- პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამაზე მისაღები წინაპირობები უფრო მკაფიოდ უნდა გაიწეროს. უნდა შეიცვალოს და დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის პროგრამის უნიკალურობის დამტკიცებას და სტანდარტით მითითებული შედეგების მიღწევას.

- სასარგებლო იქნება, თუკი პროგრამას დაყოფთ ოთხ ბლოკად და სტუდენტებს შესთავაზებთ სხვა თემას(ებს), გარდა ქართული ქრისტიანული ხელოვნების ისტორიისა, რადგან პროგრამის სახელწოდება გაცილებით უფრო ფართოა ვიდრე პროგრამის შინაარსი.

2.2.

- პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჭიროებს გადახედვას.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედებს ახალთან ერთად და გაუქმდება 2021 წელს. ხოლო სილაბუსები ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისია, 3 მთავარი კომპეტენციით. ისინი საჭიროებენ ერთმანეთთან დაახლოებას.

- არჩევითი კურსი „სიმბოლოს მნიშვნელობა ქრისტიანულ ხელოვნებაში და მისი წინარე ქრისტიანული ტრადიციები“ D12 მოცემული უნდა იყოს სავალდებულო კურსების სიაში.

2.3.

- სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალები უნდა ეფუძნებოდეს დარგის უახლოეს მნიშვნელოვან მიღწევებს.
- უნდა დარედაქტირდეს არჩევითი (არასავალდებულო) კურსების სია, რათა კურსი გაძლიერდეს შედარებითი ანალიტიკური სწავლების მეტი კომპონენტით.

2.6.

- დაწესდეს მკაფიო შეფასების კრიტერიუმები სემესტრული მუშაობისთვის, რომლებიც შეესაბამება დოქტორანტურის დონეს.
- გაუმჯობესდეს სადისერტაციო ნაშრომების წინასწარი შეფასების კრიტერიუმები.

3.1.

- უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევით სტაჟირებებში მონაწილეობის შესაძლებლობები.
- გაიზარდოს საერთაშორისო მობილობა (გაცვლითი პროგრამები და ა.შ.).

3.2. სტუდენტებისთვის იმ შესაძლებლობის შექმნა, რომ ჰქონდეთ მკვლევარებისა და შესაძლო ხელმძღვანელების უფრო დიდი არჩევანი.

4.1. უზრუნველყავით, რომ აკადემიური პერსონალი იყოს ამჟამად აქტიური აკადემიურ სფეროში (აქვეყნებდეს სამეცნიერო ნაშრომებს რეფერირებად ჟურნალებში და მონაწილეობას იღებდეს ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში).

4.2.

- დარწმუნდით, რომ შეფასების შედეგები გამოიყენებული იქნება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გაუმჯობესებისთვის.
- დარწმუნდით, რომ შეფასების შედეგები გაითვალისწინებული იქნება პერსონალის დაწინაურებისა და მათი მხარდაჭერისას.
- ჩაატარეთ პერსონალის კმაყოფილების შეფასება.
- დანერგეთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელმშემწყობი მექანიზმები.

4.3.

- გააუმჯობესეთ სწავლების ტექნიკური საფუძველი.
- განაახლეთ საბიბლიოთეკო რესურსები.

- **რჩევები**

რამდენადაც პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის კვლევა ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების სფეროში და ამ სფეროს სამეცნიერო დარგის განვითარება, უნდა გაძლიერდეს თანამშრომლობა საჯარო პარტნიორებთან და სხვა სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებთან. სასურველია განიხილოთ საერთაშორისო პრაქტიკისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები, ამგვარად უზრუნველყოთ პროგრამის სწავლის შედეგები, შექმნათ ახალი ცოდნა და გაავრცელოთ იგი საერთაშორისო კონტექსტში. პროგრამაზე დაშვების უფრო კონკრეტული წინაპირობები უნდა აკონკრეტებდეს ხელოვნების ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის (რესტავრაცია, ქანდაკება, ხელნაწერი და ა.შ) შესაბამისი პერიოდის კურსდამთავრებულების მიღებას. გასაუბრების თემები და შესაბამისი ლიტერატურის სია საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს. უნდა დარედაქტირდეს არჩევითი (არასავალდებულო) კურსების სია, რათა კურსი გაძლიერდეს შედარებითი ანალიტიკური სწავლების მეტი კომპონენტით. სადოქტორო პროგრამამ და უნივერსიტეტმა უკეთესად უნდა წაახალისონ სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში, რაც მოიცავს მონაწილეობის მიღებას სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და პროექტებში. სასურველია მომზადდეს

რეფერირებადი ჟურნალების სია და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა უფრო მჭიდროდ იმუშაონ სამეცნიერო გამოცემებთან. სადოქტორო პროგრამის სპეციალური სასწავლო პერიოდიდან გამომდინარე, მომზადებული პუბლიკაციების საჯაროობა და საჯარო სივრცეში ჩართულობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. გირჩევთ გაიზარდოს საერთაშორისო მობილობა (გაცვლითი პროგრამები და სხვა) და უზრუნველყოთ, რომ სტუდენტებმა მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში ნაშრომების გამოსაქვეყნებლად. აგრეთვე, გირჩევთ იპოვოთ გზები პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოელი სპეციალისტების ჩასართავად და უზრუნველყოთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის სათანადო მიმოცვლა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

„ხელოვნების ისტორიის“ სადოქტორო პროგრამას 2018 წელს პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა. პირობითი აკრედიტაციის შემდეგ, პროგრამის ინსტიტუციური ხელშეწყობისა და შიდასაუნივერსიტეტო ურთიერთობების გაძლიერების კუთხით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები: გაფორმდა მემორანდუმები და ხელშეკრულებები სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან გაფომრდა ხელშეკრულება უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრაში მონაწილეობის მიღებისა და მისი იურისდიქციის ქვეშ არსებულ სხვადასხვა რეგიონულ მუზეუმში კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ.

რეკომენდაციის შესაბამისად, ხელშეკრულება გაფორმდა შპს სკოლა ფენიქსთან (საიდენტიფიკაციო ნომრით: 205178010), რათა ორგანიზება გაუწიოს უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონის გამოცდების განხორციელებას დოქტორანტურის კანდიდატებისთვის. გაიზარდა რელევანტური საგნების და თანამედროვე უცხოური ლიტერატურის რაოდენობა სილაბუსებში. საბიბლიოთეკო ფონდი მუდმივად განახლებადია. 2017 წელს უნივერსიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული ქსელის კონსორციუმთან, დარეგისტრირებულია, როგორც პროექტ „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“ მონაწილეთა კონსორციუმის წევრად და შედეგად, უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენების უფლება.

თუმცა, უნივერსიტეტს მხედველობაში არ მიუღია ხელოვნების ისტორიის დარგში დაშვების წინაპირობების დარედაქტირებისა რეკომენდაცია და ამ მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების დაწყების შესახებ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება რეგულარულად.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. ისინი, ასევე, ასახავენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი წარდგენილი პროგრამის მიზანია, მოამზადოს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგის მაღალკვალიფიციური მკვლევარები, რომელთაც შეეძლებათ დამოუკიდებელი სამეცნიერო სამუშაოებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელება. წარდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლას, კერძოდ შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების და სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ახალი ცოდნის შექმნას და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიის შესასწავლად. პროგრამის ამოცანები ასახულია შესაბამის კომპეტენციებში, რომლებიც პროგრამის მიზნების თანახმად უნდა განუვითარდეთ დოქტორანტებს, ეს კომპეტენციებია: ➢ სამეცნიერო კვლევის ჩატარების უნარი; ➢ დარგში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ადეკვატურად შეფასების უნარი; ➢ სწორი სამეცნიერო დასკვნების გამოტანისა და ახალი მასალების გაანალიზების უნარი;

- საფუძვლიანი დასკვნების გამოტანისა და ხელოვნების ისტორიის დარგში ახალი ცოდნის შექმნის უნარი, რომელიც არამხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის იქნება, არამედ წვლილს შეიტანს ხელოვნების მეცნიერებათა შესწავლაში.

პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა ის არის, რომ იგი წარმოადგენს სასწავლო კურსს ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების ისტორიაში; მისი მთავარი ამოცანაა, შეისწავლოს ტრადიციული ქართული შუა საუკუნეების წიგნების მხატვრობა და ოქრომჭედლობის ნიმუშები. მართალია პროგრამა მიზნად ისახავს თავისი შინაარსით შეაღწიოს ქართული ხელოვნების ისტორიის კონკრეტულ პერიოდში, თუმცა აუცილებელია ყურადღების გამახვილება დარგის საერთაშორისო განვითარებაზე სხვადასვა მიმართულებით, რათა აღიქვან ადგილობრივი ხელოვნების ტენდენციების კვლევა მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. კურსდამთავრებულები უნდა იყვნენ კომპეტენტურები და შეეძლოთ ფუნქციონირება და მუშაობა საერთაშორისო დონეზე.

სასწავლო კომპონენტი შეიცავს ლექციებსა და სემინარებს, სემინარი შეიძლება იყოს სპეციალიზაციაში და/ან დისციპლინათაშორისი.

კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადოქტორო კოლოკვიუმებს, პუბლიკაციებისა და/ან ანგარიშების მომზადებას, სადოქტორო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას.

კვლევითი კომპონენტის განხორციელება იწყება სასწავლო კომპონენტის პარალელურად, წინასწარ შემუშავებული ინდივიდუალური გეგმის მიხედვით. პროგრამის ყველაზე ძლიერი ნაწილია ბაზა, რომელიც საჭიროა კვლევითი კომპონენტისთვის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოქროს ფონდი, სადაც ქართული ქრისტიანული ხელოვნების უნიკალური ქრისტიანული არტეფაქტებია დაცული, ასევე საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერების კოლექცია, სადაც ქართული ქრისტიანული ხელოვნების უნიკალური ნიმუშებია დაცული და ასევე საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაცული კოლექციები. აღნიშნული არტეფაქტების შესწავლა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ხელოვნების ისტორიის კვლევაში. აღსანიშნავია, რომ ორივე დაწესებულება აერთიანებს ქვეყნის უმთავრეს სივრცეებს, რომლებიც საჭიროა შესასწავლი პერიოდისთვის, ეს კი პროგრამის სტუდენტებისთვის დიდებული შესაძლებლობაა.

თუმცა, ამოცანა „ხელოვნებათმცოდნეობის ექსპერტის (ხელოვნების ისტორიკოსის) მომზადება, რომელიც ფლობს სათანადო ცოდნასა და კვლევის მეთოდებს ხელოვნების ისტორიის დარგში; რომელსაც ექნება უნარი ჩაატაროს კვლევა დამოუკიდებლად,

სიღრმისეულად გაიგოს და კრიტიკულად მიუდგეს არსებულ იდეებს, გააანალიზოს ახალი მასალები, გამოიტანოს ლოგიკური დასკვნები და შექმნას ახალი ცოდნა ხელოვნების ისტორიის დარგში, რომელსაც ექნება არამხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა, არამედ წვლილს შეიტანს ხელოვნების მეცნიერების განვითარებაში“- ვერ მიიღწევა, თუკი არ შეიცვლება პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.
მტკიცებულება/ინდიკატორები ✔ პროგრამის აღწერილობა ✔ თვითშეფასების ანგარიში; ✔ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუ ✔ გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან ✔ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ ✔ გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან ✔ ხელშეკრულებების კომპონენტი (მუზეუმი და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი)
რეკომენდაციები: ○ წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: რამდენადაც პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების სფეროს კვლევა და ამ სფეროს სამეცნიერო დარგის განვითარება, უნდა გაძლიერდეს თანამშრომლობა საჯარო პარტნიორებთან და სხვა სამეცნიერო და კვლევით ინსტიტუტებთან. ეს შექმნის ახალ შესაძლებლობებს (მაგ.: საერთო ინტერესების სფეროს კვლევა). სასურველია განიხილოთ საერთაშორისო პრაქტიკისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები, ამგვარად უზრუნველყოთ პროგრამის სწავლის შედეგები, შექმნათ ახალი ცოდნა და გაავრცელოთ იგი საერთაშორისო კონტექსტში. ასევე, გირჩევთ შეუსაბამოთ პროგრამის ამოცანები დაშვების წინაპირობებს.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად შედეგიანი და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში:

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები კარგად განსაზღვრულია და გამოხატულია შვიდ ფართო ერთეულად, რომელიც კატეგორიებად დაყოფილია დარგის კომპეტენციებისა და ზოგადი კომპეტენციების მიხედვით. მასში წარმოდგენილი დარგობრივი კომპეტენციებია: საფუძვლიანი, სიღრმისეული და სისტემური ცოდნა, რომელიც ეყრდნობა უახლოეს მიღწევებს ხელოვნების ისტორიაში, მომავალი საკვლევი პრობლემების გლობალური ხედვა; ხელოვნებაში ისტორიული პროცესების კვლევისა და ანალიზის უნარი; ხელოვნების არსისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის აღქმა; ქართული ხელოვნების აღქმა მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში, კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავების არსის სიღრმის გააზრება, სხვადასხვა ხალხთა ხელოვნებებს შორის კავშირების დადგენა. განიხილოს ისინი, საერთო ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დისციპლინათშორისი ანალიზი; ხელოვნების თეორიის და სამეცნიერო კვლევის მეთოდების სრულყოფილი შესწავლა დოქტორანტს მისცემს შესაძლებლობას, იმუშაოს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე; იგი შეარჩევს

მეთოდოლოგიას და წარადგენს გამოუკვლევი ხელოვნების ნიმუშის თარიღს, განსაზღვრავს და შეაფასებს სახელოვნებო და ისტორიულ ადგილს; იგი შეძლებს ახალი ცოდნის შექმნას, რომელიც აისახება მის სამეცნიერო პუბლიკაციებში; დოქტორს შეეძლება ხელოვნების მონუმენტების ან მონუმენტთა ჯგუფის მრავალმხრივი შესწავლა, საჭიროებისამებრ, გონივრული თარიღის დადგენა, საერთო ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით და მისთვის ადგილის მინიჭება ხელოვნების ისტორიაში. მას შეუძლია ჩაატაროს კვალიფიციური ექსპერტიზა ვიზუალურ ხელოვნების ნიმუშსა თუ სამუზეუმო კოლექციაზე; მას შეეძლება არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა მაშინაც კი, თუ მონაცემები კომპლექსურია, არასრული და ურთიერთსაწინააღმდეგო. ამ პროცესში, იგი შეძლებს ახალი მიდგომების გამოყენებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებით რესურსებს გამოიყენებს და მიიღებს სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად; სიღრმისეული ცოდნა და კვლევის უნარები ხელოვნების ისტორიაში და მისი კონკრეტული დარგის ცოდნა შესაძლებლობას მისცემს კურსდამთავრებულს, შეაფასოს და გააკრიტიკოს არსებული ინფორმაცია, ასევე დაიცვას მოპოვებული ცოდნა და ლოგიკურად დაასაბუთოს დასკვნები. ყოველივე ზემოთ ხსენებული მოამზადებს სპეციალისტს, რომელსაც ექნება კვლევის დამოუკიდებლად ჩატარებისა და მომავალი პროექტების შემუშავების უნარი; ხელოვნების დოქტორი შეძლებს არსებული ცოდნისა და ხელოვნების ისტორიის დარგის ძირითადი იდეების სრულად გათვალისწინებას და გაგებას; ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ისწავლის, თუ როგორ თავსდება მისი სამეცნიერო კვლევის დარგი საერთო ინტელექტუალურ სივრცეში; ისწავლის თუ როგორ ითანამშრომლოს მეზობელი დარგების სპეციალისტებთან დისციპლინათაშორისი კვლევის პროცესში; დოქტორს უნდა შეეძლოს მომავალი თაობის აღზრდა (იხ. პროგრამის სწავლის შედეგები).

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგები გაწერილია უმაღლესი განათლების ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციების აღმწერის მიხედვით, ხოლო მინიჭებული კვალიფიკაცია (0213 ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი) შეესატყვისება ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. უფრო მეტიც, არჩევითი და ზოგიერთი სავალდებულო კურსის სწავლის შედეგები გაწერილია ექვს შედეგზე ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით. იმავდროულად, ზოგიერთი სავალდებულო კურსის სწავლის შედეგები (შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება - აღმოსავლური ქრისტიანობის ნაწილი“, „ბიზანტიური და ქართული მხატვრობის შედარებითი ანალიზი“, „შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა“ და „ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდები“) შეესაბამება ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, რომელიც კატეგორიებად დაყოფილია ცოდნის, უნარების,

პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის მიხედვით. კურიკულუმის რუკა გვიჩვენებს თითოეული პროგრამის კომპონენტის წვლილს (ძლიერს/საშუალოს/სუსტს) სწავლის შედეგების მთავარი კატეგორიებისადმი (ცოდნა/უნარები/სხვა). პროგრამის სწავლის შედეგების რაციონალიზაცია კონკრეტული სწავლის შედეგებისადმი კომპონენტების მეფინგის შესაძლებლობას შექმნის. პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ცნება ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შემოვიდა, იგი სილაბუსებში შემდეგნაირად გამოიხატება: დოქტორანტს შეეძლება კვლევითი პროექტების ჩატარება აკადემიურ კონტექსტში უახლოეს მიღწევებზე დაყრდნობით. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტებისთვის წარდგენილი სტუდენტთა სემესტრული ნამუშევრები გარკვეულ ეჭვებს ბადებს თუ რამდენად რეალისტურია ეს შედეგი, იმ ბიბლიოგრაფიისა და კვლევის მეთოდების გათვალისწინებით, რომლებიც ამ ნაშრომებშია გამოყენებული. უფრო მეტიც, ინოვაციისა და დამოუკიდებლობის შედეგი ვერ მიიღწევა ამჟამინდელი დაშვების წინაპირობების ფონზე. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა გაძლიერდეს იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულების უნარს, შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში.

ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგები განახლებული კურიკულუმის თითოეულ კურსში ფასდება იმ აქტივობებით, რომლებიც ავლენს სტუდენტების დამოუკიდებლობის ხარისხსა და ღირებულებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, კურსები შეიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა მცირე კვლევითი ნაშრომის მომზადება, სხვა დოქტორანტის კვლევითი ნაშრომის რეფერირება, შედეგების პრეზენტაცია და სხვა. გარდა ამისა, კურიკულუმის მეფინგის შედეგების მიხედვით, სავალდებულო კურსები ემსახურება ცოდნის, აღქმისა და უნარების გაზრდა/გაუმჯობესებას.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მკაფიო კავშირების უზრუნველყოფა პროგრამის სწავლის შედეგებსა და კონკრეტული კურსების სწავლის შედეგებს შორის. შესაბამისად, უმჯობესია, რომ სწავლის შედეგები და სასწავლო კურსები ერთმანეთთან და ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში თანმიმდევრული იყოს.

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს უნარებს, რომლებსაც პროგრამა ავითარებს, რათა მოამზადოს დოქტორანტები თავიათი აკადემიური კარიერისთვის.

პროგრამას გააჩნია კურიკულუმის რუკა და სამიზნე ნიშნულები, ასევე შეფასების ინსტრუნებტები, სადაც ისინი აღწერენ, თუ როგორ აპირებენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.
  - თვითშეფასების ანგარიში;
  - პროგრამის აღწერა;
  - კურიკულუმის რუკა;
  - კურსების აღწერა;
  - პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

რეკომენდაციები:

წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

უნდა გადაიხედოს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები, პროგრამის შესაბამის დონეზე. შესაძლებელია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გამოყენება. უნდა გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა უნარს შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს დოქტორანტებს, რათა მოამზადოს ისინი აკადემიური კარიერისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

გირჩევთ გამოსწორდეს ტექნიკური პრობლემა და სწავლის შედეგები და სასწავლო კურსები ერთმანეთთან და ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში თანმიმდევრული გახდება.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში:

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე ☐შესაბამისობაშია მოტხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეებზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. ისინი შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით და რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტებით.

სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს ქართული ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის კონკრეტული პერიოდის შესწავლას. პროგრამა ხელმძღვანელობს დოქტორანტების მიღებას აკადემიურად მკაცრი პროცესით. ამჟამინდელი მოცულობის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების სამიზნეს წარმოადგენს 5-6 სტუდენტის მიღება ყოველ წლიურად,

პროგრამას აქვს სპეციფიური მიზანი: ჩაატაროს კვლევა შუას საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, ქართულ მასალებზე დაყრდნობით, წამოჭრას პრობლემები და განიხილოს სხვადასხვა კონტექსტში. პროგრამა მიზნად ისახავს განსაკუთრებული ყურადღების დათმობას, ეროვნული შუა საუკუნეობრივი ისტორიული პროცესების შესწავლას, მათ გაგებას საერთაშორისო კონტექსტში და დარგში ახალი ცოდნის შექმნას სადისერტაციო ნაშრომების მეშეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა სპეციფიურია და აუცილებელია, რომ სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვროს კონკრეტული კვალიფიკაციებით, კერძოდ ხელოვნების მაგისტრის კანდიდატებით.

დარგში არსებული ვითარების გათვალისწინებით, ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების დარგში- ხელნაწერ წიგნთა მხატვრობა და ქართული ოქრომჭედლობა - ახალგაზრდა მკვლევრების განსაკუთრებული დეფიციტია. თუმცა, აღნიშნულმა დარგებმა დატოვა დიდი რაოდენობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომლებიც ჯერ კიდევ შეუსწავლელია და ელოდება თავის მკვლევრებს.

პროგრამის ერთ-ერთი ამოცანაა წაახალისოს და ხელი შეუწყოს სადოქტორო სწავლებას კვლევის დარგში, რაც გარანტირებულია პროგრამაში ჩაბმული აკადემიური და მოწვეული პერსონალით. ქართული ხელოვნების ისტორია ავლენს მტკიცე მხატვრული ფორმების ტრანზიციას საუკუნეების განმავლობაში, რაც აერთიანებს ყველა დროისა და ეპოქის ქართულ ხელოვნებას და განსაზღვრავს მის ადგილს მსოფლიო კულტურაში.

ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე (ხელოვნების ისტორია) დაშვების წინაპირობებია:

ა) მაგისტრის ხარისხი ან ეკვივალენტური აკადემიური ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში, ხელოვნებაში, განათლებაში, სამართალში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, სოციალურ, ჰუმანიტარულ და ინტერდისციპლინურ მეცნიერებებში.

ბ) ინგლისური ენის გამოცდა - B2 დონე. პირი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების დიპლომს შესაბამისი უცხო ენის სპეციალობით, ან სერთიფიკატს, რომელიც ადასტურებს გამოცდის ჩაბარებას შესაბამის პროფილის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (არანაკლებ B2 დონეზე) ან უცხო ენის ცოდნის

საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სერთიფიკატს. (TOEFL PBT, TOEFL IBT, IELTS ან კემბრიჯის გამოცდა) თავისუფლდება უცხო ენაში გამოცდისაგან; ცალკეულ შემთხვევებში, კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამატებითი უცხო ენის ცოდნა.

გ) სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს მოეთხოვება შესაბამისი სფეროს კვლევითი ნაშრომის წარმოდგენა (მცირე კვლევა/პუბლიკაცია/სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.), ასეთის არსებობის შემთხვევაში; ასევე, აპლიკანტმა უნდა გაიაროს კონსულტაცია პროგრამის ხელმძღვანელთან/სამეცნიერო ხელმძღვანელთან და წარმოადგინოს მათი წერილობითი დასტური მისი კვლევითი ინტერესების პროგრამასთან შესაბამისობის შესახებ.

დ) ინტერვიუ სპეციალობაში (ხელოვნების ისტორია), რომლისთვისაც აპლიკანტს მოეთხოვება მისი სამეცნიერო ინტერესების შესაბამისი სამეცნიერო პროექტის შეჯამება.

სამუშაო სტაჟი არაა სავალდებულო. უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების, სწავლისა და აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განსაზღვრულია საქართველოს ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და რექტორის ინდივიდუალური სამართველბრივი აქტებით. შესაძლებელია საშუალოდ 5-6 დოქტორანტის მიღება.

არ არსებობს შეზღუდვა ხელოვნების სფეროში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელების წინაპირობებთან დაკავშირებით. მაგრამ, მოცემულ პროგრამაზე დაშვების პირობები არ ითვალისწინებს პროგრამის მახასიათებლებს. კერძოდ: აპლიკანტს მოეთხოვება მაგისტრის ხარისხის ან ეკვივალენტური აკადემიური ხარისხის ქონა ხელოვნებათმცოდნეობაში, ხელოვნებაში, განათლებაში, სამართალში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, სოციალურ, ჰუმანიტარულ და ინტერდისციპლინურ მეცნიერებებში. სამართლის ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მაგისტრის ხარისხით და დისციპლინათაშორისი განათლებით (საჭიროებს დაკონკრეტებას) შეუძლებელია შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე სტუდენტების მიღების უზრუნველყოფა აღნიშნული პროგრამის დასაუფლებლად და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. თუმცა, მიმდინარე წელს ჩარიცხული 4 დოქტორანდიდან სამი ხელოვნების მკვლევარები არიან, რაც არ აფერხებს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე დაშვების სხვა წინაპირობები (ჩამოთვლილია კურიკულუმში) ლოგიკურად დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; მაგალითად- მოთხოვნები, რომლებიც შეეხება უცხო ენის ფლობის დონეს (B2 დონე) და სამეცნიერო ცოდნას. გათვალისწინებულია რეკომენდაცია

სავალდებულო მოთხოვნის შესახებ, რომელიც ინგლისური ენის სავალდებულო უცხო ენად დანერგვას გულისხმობს. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის თემაში ასევე აღწერილია კრიტერიუმები, რომლებმაც უნდა გამოავლინოს კანდიდატის სამეცნიერო ცოდნა: სადოქტორო პროგრამის აპლიკანტს მოეთხოვება შესაბამისი დარგის კვლევითი ნაშრომის წარდგენა (მცირე კვლევა/პუბლიკაცია/სამაგისტრო ნაშრომი და ა.შ), ასეთის არსებობის შემთხვევაში; სამეცნიერო ნაშრომის პრეზენტაცია უნდა იყოს სავალდებულო და არა სასურველი. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტებმა მოითხოვეს დოქტორანტის მიერ პროგრამაზე მიღების დროს წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომი. მოწოდებული მასალა შევისწავლეთ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი არ აკმაყოფილებს თანამედროვე კვლევის მოთხოვნებს.
მტკიცებულება/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. ● თვითშეფასების ანგარიში; ● ადგილზე ვიზიტი; ● გასაუბრების შედეგები; ● კანდიდატების წერილობითი წინადადებები.
რეკომენდაციები: წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უფრო მკაფიოდ უნდა გაიწეროს. უნდა შეიცვალოს და დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის პროგრამის უნიკალურობის დამტკიცებას და სტანდარტით მითითებული შედეგების მიღწევას. სასარგებლო იქნება, თუკი პროგრამას დაყოფთ ბლოკებად და სტუდენტებს შესთავაზებთ სხვა თემას(ებს), გარდა ქართული ქრისტიანული ხელოვნების ისტორიისა, რადგან პროგრამის სახელწოდება გაცილებით უფრო ფართოა ვიდრე პროგრამის შინაარსი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● პროგრამაზე დაშვების უფრო კონკრეტული წინაპირობები უნდა აკონკრეტებდეს ხელოვნების ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის (რესტავრაცია, ბეჭდვა, ქანდაკება, ხელნაწერი და ა.შ) შესაბამისი პერიოდის კურსდამთავრებულების მიღებას.

- გასაუბრების თემები და შესაბამისი ლიტერატურის სია საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში:

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს რეგულაცია სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიისთვის. თვითშეფასების გუნდთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ეს წესი მოქმედებს და მასში გაწერილ ყველა ნაბიჯს იცავენ.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშნელოვანია კურიკულუმის გადახედვა და საგნის „სიმბოლოს“ სავალდებულოდ გადაკეთება, რადგან იგი ბევრად უფრო შესაფერისი იქნება პროგრამის მიზნებისა და შედეგებისთვის. პროგრამა თავისი შინაარსით ძალიან

სპეციფიურია და ორიენტირებულია ქართული ხელოვნების კონკრეტულ პერიოდზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ ორ კონკრეტულ მიმართულებას: გრავირებული ხელოვნების ნიმუშები და წიგნების ილუსტრაციები (თუმცა პროგრამის სახელწოდება ამას არ ასახავს). შესაბამისად, პროგრამის მიზნებისთვის, გირჩევთ, რომ დოქტორანტმა შეისწავლოს სიმბოლოები და ხატები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება პროგრამას თავისი შედეგების მიღწევაში, რათა შესაძლებელი იყოს ახალი, კომპლექსური და ურთიერთსაწინააღმდეგო იდეების კრიტიკული და შედარებითი ანალიზი და მიდგომები ხელოვნების დარგში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. თუკი აპლიკანტის განათლება არ არის ახლოს ხელოვნებათმცოდნეობასთან, რთული იქნება განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

საგანმანათლებლო პროგრამასა და უმაღლესი განათლების სისტემის მესამე საფეხურზე გათვალისწინებული მიზნების მიღწევა უზრუნველყოფილია კურსების შინაარსით, მოცულობითა და სწავლის მეთოდებით.

წარდგენილი პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია.- იგი მოიცავს 180 კრედიტს, აქედან 50 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 130 კრედიტი - კვლევით კომპონენტს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა განისაზღვრება აკადემიური და სამეცნიერო კომპონენტების დაბალანსებით. პროგრამის კომპონენტების თანმიმდევრულობა ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან: პროგრამა დატვირთულია უფრო მეტი აკადემიური კომპონენტებით, სწავლების პირველ სემესტრებში. აკადემიური კრედიტები სრულდება მესამე სემესტრში.

პროგრამის სამეცნიერო ნაწილი ეტაპობრივად იზრდება მომდევნო სემესტრებში. დანრჩენილი სამი სემესტრი მთლიანად ეთმობა სამეცნიერო მუშაობას. ეს ასევე ითვალისწინებს კვლევის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას და აგებულია კომპონენტებს შორის ლოგიკურ კავშირზე; პროგრამის 130 კრედიტი დოქტორანტის მიერ მოპოვებულად ითვლება დისერტაციის დაცვის შემდეგ. პროგრამაზე თანდართულ მატრიცაში ყველაფერი დეტალურად არის გაწერილი სემესტრების მიხედვით.

კვლევითი დარგის კვლევითი კომპონენტი მოიცავს არსებით სემინარებსა და სასწავლო კურსებს, რომლებიც ერთის მხრივ ემსახურება შესასწავლი დარგის გაღრმავებას არსებული კვლევების საფუძვლიანი შესწვავლით და, მეორეს მხრივ, კვლევისა და სწავლების

თანამედროვე მეთოდების დაუფლებას, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების დაგროვებას. გარდა სავალდებულო კურსებისა და სემინარებისა, არსებული არჩევითი კურსების ბლოკი დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას შეადგინოს საკუთარი ინდივიდუალური გეგმა.

განსაზღვრულია სამეცნიერო კომპონენტები, საკვლევი თემები და ამოცანები. სხვადასხვა დარგების კვლევა საჭიროებს დისციპლინათაშორის მიდგომას, ერთ კულტურაში სხვადასხვა სფეროების კავშირის თვისობრიობის განსაზღვრას. სხვა საკვლევი თემები შესაძლოა იყოს A კონკრეტული მონუმენტი ან მონუმენტთა ჯგუფი, რომლებიც აქამდე არ შესწავლილა; ბიზანტიური, ისლამური, ევროპული და სხვა მხატვრული ტენდენციების ტრანსფორმაციისა და გავლენის საკითხები საქართველოში, ქართული ხელოვნების გავლენები და კულტურული წრეები სხვა ქვეყნებში. გარდა ზემოთ ხსენებული არსებითი პრობლემებისა, დოქტორანტს ექნება შესაძლებლობა შეისწავლოს და იკვლიოს სხვა კონკრეტული პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელოვნების ისტორიასთან.

დოქტორანტი ვალდებულია სისტემატურად იმუშავოს სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად და წარადგინოს მოკლე, წერილობითი სამეცნიერო ანგარიში დეკანატში, თითოეული სემესტრის ბოლოს და ჩაატაროს პრეზენტაცია კათედრის შეხვედრაზე (კოლოკვიუმები) წელიწადში ერთხელ. ყველა სემესტრული ანგარიში, რომლებიც ხელმოწერილია დოქტორანტისა და ხელმძღვანელის მიერ, ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

სადისერტაციო თემისა და სახელწოდების დამტკიცებისთვის განკუთვნილი პრეზენტაცია ტარდება მეორე სემესტრის დასასრულს, მას შემდეგ, რაც დოქტორანტი წარადგენს დისერტაციის სამუშაო ვერსიას კათედრის სხდომაზე და ამ სხდომის გადაწყვეტილებით წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.

პროგრამის აკადემიური კომპონენტი (50 კრედიტი) მოიცავს 50ECTS კრედიტს, აქედან სავალდებულო სასწავლო (დარგობრივ) კურსებს (40 კრედიტი) და არჩევით კურსებს (10 კრედიტი).

საგანმანათლებლო პროგრამის სრულად დაუფლების შემდეგ, კურსდამთავრებულს აქვს ყველა კომპეტენცია, რომელთა მიღწევაც შესაძლებელია განათლების მესამე საფეხურზე.

შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

მტკიცებულება/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. ● რექტორის სამართლებლივი აქტი სსიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გაუმჯობესების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“. ● სადოქტორო პროგრამის აღწერა და საგნების სილაბუსები; ● პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა; ● თვითშეფასების ანგარიში; ● გასაუბრების შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ● პროგრამაზე მიღების წინაპირობები კორექტირებას საჭიროებს. ● პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია იმ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედებს ახალ ჩარჩოსთან ერთად და რომელიც გაუქმდება ერთ წელში, ხოლო სილაბუსები შედგენილია ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, 3 მთავარი კომპეტენციით. ესენი ერთმანეთთან უნდა დაახლოვდეს. ● არჩევითი კურსი „სიმბოლოს მნიშვნელობა ქრისტიანულ ხელოვნებაში და მისი წინარე ქრისტიანული ტრადიციები“ D12 მოცემული უნდა იყოს სავალდებულო კურსების სიაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში: ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თანდართულ მატრიცაში მითითებული მთავარი სპეციალობის ყველა აკადემიური კურსი უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნის დონის ამაღლებას, მისი შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას და პრაქტიკული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობსთვის აუცილებელი უნარების ფორმირებასა და რეალიზებას.

აკადემიური კომპონენტი ითვალისწინებს სემინარების მომზადებას, რომლებიც გააფართოვებს დოქტორანტთა ხედვას ამ დარგში და აამაღლებს მათი ცოდნის დონეს. ეს კომპონენტები უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; ამასთან ერთად, ეს შედეგი მიიღწევა აკადემიურ კურსებს შორის არსებული ლოგიკური კავშირითა და პრაქტიკული უნარების განვითარებით. აკადემიური კომპონენტი ქმნის საფუძველს კვლევის წარმატებით განხორციელებისა და კვლევის შედეგებზე სადოქტორო ნაშრომის მომზადებისთვის.

თითეული კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ამასთან ერთად, საკონდაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორი თანაფარდობა ლოგიკურია და ითვალისწინებს კურსის თავისებურებებს; საკონტაქტო

საათების რაოდენობა, სწავლებისა და სწავლის მეთოდები (ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული მუშაობა და სხვა) შეესატყვისება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

კვლევითი დარგის კვლევითი კომპონენტი მოიცავს საჭირო სემინარებსა და სასწავლო კურსებს, რომლებიც ერთის მხრივ ემსახურება შესასწავლი დარგის გაღრმავებას არსებული კვლევების საფუძვლიანი შესწვავლით და, მეორეს მხრივ, კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლებას, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების დაგროვებას. გარდა სავალდებულო კურსებისა და სემინარებისა, არსებული არჩევითი კურსების ბლოკი დოქტორანტს აძლევს შესაძლებლობას შეადგინოს საკუთარი ინდივიდუალური გეგმა. განსაზღვრულია სამეცნიერო კომპონენტები, საკვლევი თემები და ამოცანები. სხვადასხვა დარგების კვლევა საჭიროებს დისციპლინათაშორის მიდგომას, ერთ კულტურაში სხვადასხვა სფეროების კავშირის თვისობრიობის განსაზღვრას. სხვა საკვლევი თემები შესაძლოა იყოს კონკრეტული ძეგლი ან ძეგლთა ჯგუფი, რომლებიც აქამდე არ ყოფილა შესწავლილი.

ფასდება თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი. კომპონენტთა შეფასების კრიტერიუმები დეტალურად ასახულია კურსის სილაბუსებსში და სამეცნოერო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები ხაზგასმულია სილაბუსსა და სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებში. (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებები, მუხლები 8,9,10,15,16,17, 18, 19,20)

სასურველია სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში გამოყენებული მეთოდოლოგიის შესწავლა, კერძოდ კი ამ საგნებში: **D0213.1.5.04 ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდები; D0213.1.5.01 ბიზანტიური და ქართული მხატვრობის შედარებითი ანალიზი; ქართული ხუროთმოძღვრება შუა საუკუნეებში - აღმოსავლური ქრისტიანობის ნაწილი, D11 ქართულ ხელნაწერ წიგნთა მხატვრობა, D0213.1.5.03** შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა განსაკუთრებულია იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ დოქტორანტს მიეცემა შესაძლებლობა ისწავლოს პირდაპირ ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების ორიგინალი ნიმუშებიდან.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სწავლის დროს, დოქტორანტი ვალდებულია დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში. პროფესორის

ასისტენტობა გულისხმობს შემდგომს: ლაბორატორიული სამუშაოების და პრაქტიკუმების ჩატარება სამუშაო ჯგუფებში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის; შეკითხვების მომზადება შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის, ტესტებისთვის; სტუდენტთა ნამუშევრების შესწორება, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მიმოხილვა; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; ტუტორობა, სამეცნიერო საქმიანობაში ასისტენტობა და სხვა. დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობა შეფასდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალები, ყოველთვის არ შეესატყვისება კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალები ყოველთვის არ ეფუძნება დარგში არსებულ მთავარ მიღწევებს. ისინი მხედველობაში არ იღებენ ამ სფეროში ჩატარებულ უახლეს კვლევებს და სწორედ ამიტომ, პროგრამის შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან არ არის მდიდარი.
მტკიცებულება/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. ● სადოქტორო პროგრამის აღწერა და საგნების სილაბუსები; ● პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა; ცხრილი 1: ● კურიკულუმის სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების რუკა. ცხრილი 2: ● თვითშეფასების ანგარიში; ● გასაუბრების შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ● უზუნველყავით, რომ სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საკითხავი მასალები ეფუძნებოდეს დარგის უახლოეს საკვანძო მიღწევებს. ● უნდა დარედაქტირდეს/გადაიხედოს არჩევითი (არასავალდებულო) კურსების სია, რათა კურსი გაძლიერდეს შედარებითი ანალიტიკური სწავლების მეტი კომპონენტით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში გამოყენებული სასწავლო მეთოდოლოგია, კერძოდ ამ საგნებში: **D0213.1.5.04 ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდები; D0213.1.5.01 ბიზანტიური და ქართული მხატვრობის შედარებითი ანალიზი; ქართული ხუროთმოძღვრება შუა საუკუნეებში - აღმოსავლური ქრისტიანობის ნაწილი, D11 ქართულ ხელნაწერ წიგნთა მხატვრობა, D0213.1.5.03** შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა განსაკუთრებულია იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ დოქტორანტს მიეცემა შესაძლებლობა ისწავლოს პირდაპირ ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების ორიგინალი ნიმუშებიდან.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში: ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო კურსები შეესატყვისება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სასწავლო შეთანხმებას და მათში გამოიყენება სწავლების შესაბამისი მეთოდები.
შეფასება o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ თეორიული და კვლევითი უნარების გამომუშავებას, რომლებიც შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. გარდა ამისა, მასწავლებლის ასისტენტობის კომპონენტი სადოქტორო პროგრამაში მიზნად ისახავს სტუდენტისთვის პედაგოგიური და კვლევითი უნარების გამომუშავებას. სწავლება და ასისტენტობა წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტებს და მოიცავენ სტუდენტის ჩართულობას შემდეგ სფეროებში: 1) სწავლებაში ასისტირება და 2) კვლევაში ასისტირება. ასისიტირების დროს, დოქტორანტები ივითარებენ სწავლების, შეფასებისა და კვლევითი მუშაობის პრაქტიკულ უნარებს.

პრაქტიკული კომპონენტისა ან სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური ექსპერტი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.

პროგრამის თანახმად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო კვლევით პროექტებში. დოქტორანტებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სტუდენტების მხოლოდ მცირე რაოდენობაა ჩართული პროექტებში; შესაბამისად საჭიროა სტუდენტების ჩართულობა პროექტებსა და კონფერენციებში.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- სადოქტორო პროგრამა და საგნების სილაბუსები;
- კურიკულუმის სწავლის შედეგების და სამიზნე ნიშნულების რუკა.

რეკომენდაციები:

წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტუტენდების სხვადასხვა კვლევით საქმიანობაში ჩართულობის უზრუნველყოფა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში: ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მკაფიოდაა მითითებული ყოველი კომპონენტის შესაბამის სილაბუსში/კონცეფციაში. მეთოდი არჩეულია კურსის დონის, შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. რამდენადაც განსახილველი პროგრამა სადოქტორო პროგრამას წარმოადგენს, პრიორიტეტი ენიჭება ინტენსიურ სასემინარო სწავლებასა და პრაქტიკას-ასისტენტობას. სემინარზე დამყარებული სწავლება ეფუძნება ძირითადად მეთოდების ანალიზს, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად, ხოლო ახსნა-განმარტების მეთოდი - საკითხის ირგვლივ მსჯელობას, კონკრეტული მაგალითის დეტალურ მიმოხილვას მოცემული თემის

ფარგლებში. დედუქციური მიდგომა გამოიყენება საგნებში, რომლებშიც დოქტორანტი იძენს ახალ, სიღრმისეულ ცოდნას კონკრეტულ მიმართულებაში, სტუდენტების უკვე არსებულ ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით. სტუდენტთა მცირე რაოდენობის გამო ჯგუფური მუშაობა და ერთობლივი დავალებები შეზღუდულია. მთლიანი სასწავლო პროცესი ძალიან კარგად კონტროლდება ყიველკვირეულად კონკრეტული დავალებების, ჯგუფური მუშაობის, პრაქტიკების და ა.შ. მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ წარდგენილი პროგრამა თავისი შინაარსითა და საკვლევი პერიოდით მნიშნელოვანია, სტუდენტებისთვის მოთხოვნილი ასისტენტობის ნაწილი, რომელიც დეტალურად აღწერილია პროგრამაში, საჭიროებს დასაბუთებას. აღსანიშნავია, რომ ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტეთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა ასისტენტობის კომპონენტი.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- კურსის სილაბუსი;
- აკადემიური პროცესის კოორდინირების რეგულაციები
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ
- გასაუბრება მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სადოქტორო პროგრამამ და უნივერსიტეტმა უკეთესად უნდა წაახალისონ სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში, რაც მოიცავს მონაწილეობის მიღებას სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და პროექტებში. სასურვეულია მომზადდეს რეფერირებადი ჟურნალების სია და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა უფრო მჭიდროდ იმუშაონ სამეცნიერო გამოცემებთან. სადოქტორო პროგრამის სპეციალური სასწავლო პერიოდიდან

გამომდინარე, მომზადებული პუბლიკაციების საჯაროობა და საჯარო სივრცეში ჩართულობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში: ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტების აკადემიური მიღწევები ფასდება თანამედროვე მაჩვენებლების გამოყენებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 (05.01.2007) ბრძანებისა და მისი ცვლილებების, ასევე საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მიერ გაცემული მარეგულირებელი დოკუმენტების (შიდა განაწესი, სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს წესდება) გათვალისწინებით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი საკმარისად გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები დეტალურად ასახულია საგნის სილაბუსებში. სამეცნიერო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსებში და

სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს წესდებაში. აკადემიური პერსონალი მიიჩნევს, რომ დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასება ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის შეფასების საფუძველზე . სწორედ ამიტომ, სტუდენტთა ცოდნის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით გამოცდებს. აკადემიური კურსისთვის მაქსიმალურ შეფასებად განისაზღვრება 100 ქულა. დასკვნითი გამოცდა ფასდება არაუმეტეს 40 ქულით. სტუდენტი, რომელიც დააგროვებს მინიმუმ 30 ქულას შუალედურ შეფასებებზე, დაიშვება დასკვნით გამოცდაზე. ამგვარად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ შეფასების კომპონენტები და მეთოდები შესაფერისია საგნისა და მისი სწავლის შედეგებისთვის. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები სამართლიანია და წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის.

დოქტორანტი ვალდებულია გაუწიოს ასისტირება აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში. ამ პრაქტიკისთვის დოქტორანტი ფასდება განხორციელებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე.

ჯგუფებში სტუდენტების მცირე რაოდენობა უზრუნველყოფს სათანადო უკუკავშირს მასწავლებლებისა და ხელმძღვანელების მხრიდან. თემის ხელმძღვანელი პერიოდულად აფასებს სტუდენტის პროგრესს.

თუმცა, სტუდენტების სემესტრული ნამუშევრები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნით წარადგინეს ადგილზე ვიზიტისას, ორჭოფობის საფუძველს ქმნის შეფასების ობიექტურობასთან და/ან შემფასებლების კომპეტენციებთან დაკავშირებით. ყველა ქულა ფრიადი იყო, თმცა ნამუშევრების მოცულობა -მოკრძალებული და არ ავლენდნენ სიღრმისეულ და ყოვლისმომცველ კვლევის დონეს.

რამდენადაც ჯერ არ არის დაცული დისერტაციები, რთულია დაცვის პროცედურების შეფასება. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი ახორციელებს სხვა სადოქტორო პროგრამებს (ქრისტიანობის ისტორია და ფსიქოლოგია), შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხდება სადოქტორო დისერტაციის შეფასებისა და დაცვის რეგლაციების შესაბამისად. როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, სტუდენტისთვის სადოქტორო პროგრამა ათვისებულად ითვლება თუკი იგი დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტებს და წარმატებით დაიცავს დისერტაციას უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, საჭიროა სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასების კრიტერიუმის გაუმჯობესება.

მტკიცებულება/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. ● თვითშეფასების ანგარიში ● გასაუბრებები; ● უნივერსიტეტის სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს რეგულაცია.
რეკომენდაციები: წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად • დაწესდეს მკაფიო შეფასების კრიტერიუმები სემესტრული მუშაობისთვის, რომლებიც შეესაბამება დოქტორანტურის დონეს. • გაუმჯობესდეს სადისერტაციო ნაშრომების წინასწარი შეფასების კრიტერიუმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უფრო მაღალი კვლევითი დონისკენ სწრაფვა, რომელიც უნდა აისახოს საგამოცდო ბილეთების მოთხოვნებში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში: ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	მისობაშია მოთხოვნებთ ან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ს შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს სტუდენტებისათვის რელევანტური მომსახურებების უზრუნველყოფით; პროგრამის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას აღნიშნული მომსახურებების შესახებ, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები
სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი რამდენადაც პროგრამაზე მხოლოდ ოთხი სტუდენტი სწავლობს, ადმინისტრაციასა და ხელმძღვანელს მჭიდრო კონაქტი აქვთ მათთან. გასაუბრებების დროს, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი იღებენ სათანადო კონსულტაციებს და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით (განსაკუთრებით ინდივიდუალური სტუდენტური გეგმის შედგენისას), ასევე აკადემიური მიღწევების, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების შესახებ. უნივერსიტეტი და პროგრამის პერსონალი სტუდენტებს აწვდიან სათანადო ინფორმაციასა და მხარდაჭერის სერვისებს. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, მათი აკადემიური პროგრესის შეფასებასთან ერთად, სტუდენტებს ასევე

შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა სახის კონსულტაცია დეკანატში, განსაზღვრული ცხრილის მიხედვით. მართალია თვითშეფასების ანგარიშში წერია, რომ დოქტორანტებისთვის არსებობს ისეთი მხარდაჭერის სერვისები, როგორებიცაა სტიპენდიები, სოციალური კონსულტაცია და მხარდაჭერა (მრავალშვილიანი ოჯახებისთვის და შშმ პირებისთვის), თუმცა ამ სისტემის რეალურად ფუნქციონირების მტკიცებულებების ნაკლებობა შეინიშნბა. დადებით ფაქტად შეგვიძლია ვახსენოთ ის, რომ დოქტორანტისთვის შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის შედგენა, აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციების გავლა ინტენსიურად და გამოცდის ხელახლა ჩაბარება. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდეს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება განვიხილოთ სტუდენტთა მხარდაჭერის მტკიცებულებად. ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი მზად არის დაფაროს სტუდენტების აკადემიური მოგზაურობისა და საერთაშორისო პუბლიკაციების ხარჯები; თუმცა ეს ამ დრომდე მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობად რჩება. გარდა ამისა, მომავალ დამსაქმებლებთან კონტაქტების დამყარება შეიძლება განისაზღვროს პროგრამის დიდ უპირატესობად.
მტკიცებულება/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. ● ადგილზე ვიზიტი; ● ინტერვიუები დოქტორანტებთან ● თვითშეფასების ანგარიში; ● კონტრაქტები სოციალურ პარტნიორებთან (პოტენციულ დამსაქმებლებთან).
რეკომენდაციები: წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ● უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევით სტაჟირებებში მონაწილეობის შესაძლებლობები. ● გაზარდეთ საერთაშორისო მობილობა (გაცვლითი პროგრამები და ა.შ.).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ● არასავალდებულო რჩევები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის ● სტუდენტებმა უნდა მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში ნაშრომების გამოსაქვეყნებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში: ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამყარებული კონტაქტები და ხელმოწერილი შეთანხმებები სხვა უნივერსიტეტებთან და კულტურულ დაწესებულებებთან.
შეფასება o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი იცავს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს წესდებას, მუხლი 6. უნივერსიტეტი დოქტორანტს უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელით, ვისაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი. ადგილზე ვიზიტის დროს, გამოვლინდა, რომ მხოლოდ 1

ხელმძღვანელია 4 დოქტორანტისთვის. მართალია ამჟამინდელი ხელმძღვანელი თავისი საკვლევი დარგის ექსპერტია, თუმცა სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა აირჩიონ სხვადასხვა მკვლევრებს შორის, რათა გაფართოვდეს კვლევის სფერო. ან, უნდა არსებობდეს თუნდაც ერთი თანახელმძღვანელის აყვანის შესაძლებლობა.

ხელმძღვანელი დოქტორანტებს რეგულარულად უტარებს კონსულტაციებს. გარდა ამისა, იგი თან ახლავს სტუდენტებს ექსპედიციების დროს.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დადგენილი წესის თანახმად, უზრუნველყოფს უკუკავშირს დოქტორანტებისგან იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილები არიან სამეცნიერო ხელმძღვანელებით.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს წესდება, მუხლი 6;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

- სტუდენტებისთვის იმ შესაძლებლობის შექმნა, რომ ჰქონდეთ მკვლევრებისა და შესაძელო ხელმძღვანელების დიდი არჩევანი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აკადემიური პერსონალის ახალი წევრების მოზიდვა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში:

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ სტუდენტების დასახმარებლად საჭირო ყველა იმ კომპეტენციას, რას აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის პერსონალი ჩართულია პროგრამაში არსებული კანონმდებლობისა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო აკადემიური კვალიფიკაციებითა და მოწვეული პერსონალით, და საჭიროებისამებრ, შესაბამისი დარგის კათედრის პროფესორებით უცხოეთის უნივერსიტეტებიდან. პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათი თანამდებობისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. მოქმედებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტების რაოდენობისა და პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამას აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა. აკადემიური პერსონალის რაოდენობა (5 წევრი) და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (3 წევრი) ადეკვატურია სტუდენტთა რაოდენობისთვის. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; თუმცა, აკადემიური და

მოწვეული პერსონალის ბრუნვა არასაკმარისია. მეორეს მხრივ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ პროგრამა ახლახანს დაიწყო. უფრო მეტიც, აღნიშნულია, რომ პროგრამაში ჩართულია 3 უცხოელი სპეციალისტი; თუმცა, მათი ფუნქციები ბუნდოვანია. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები იყენებენ კონკრეტულ მაჩვენებლებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისთვის, ისეთებს, როგორიაა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საერთო რაოდენობასთან; აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა უნივერსიტეტის პერსონალის საერთო რაოდენობასთან; აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან და ა.შ. როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია ნათქვამი, ყველა პირს, რომელიც ახორციელებს პროგრამას, აქვს სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი კომპეტენციები, ეს დასტურდება ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. აკრედიტაციის სტანდარტებისა და საერთო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მკვლევარი აქტიური უნდა იყოს აკადემიურ დარგში, ბოლო 5 (და არა 10) წლის განმავლობაში. აგრეთვე, პროგრამაში ჩართული უცხოელი სპეციალისტების სახელები ნახსენებია თვითშეფასების ანგარიშში. აღნიშნულია, რომ ისინი ატარებენ კონსულტაციებს/ არიან თანახელმძღვანელები, საჭიროების შემთხვევაში. თუმცა, ეს ამ დრომდე მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობად რჩება. პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს აუცილებელ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც საჭიროა პროგრამის განხორციელებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დამოწმებულია შესაბამისი განათლებითა და პრაქტიკული გამოცდილებით ამ დარგში. იგი პირადად არის ჩაბმული პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, პროგრამის განხორციელებასა და სტუდენტთა კონსულტაციებში. პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს.
მტკიცებულება/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი N049-01;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაიო საბჭოს წესდება , მუხლები 6, 11, 12, 13, 14;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

- უზრუნველყავით, რომ აკადემიური პერსონალი იყოს ამჟამად აქტიური აკადემიურ სფეროში (აქვეყნებდეს სამეცნიერო ნაშრომებს რეფერირებად ჟურნალებში და მონაწილეობას იღებდეს ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოძებნეთ გზები, რომ უცხოელი სპეციალისტები ჩაერთოთ პროგრამის განხორციელებაში.
- უზრუნველყავით აკადემიური და მოწვეული პერსონალის სათანადო ბრუნვა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში:

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს პროგრამის სამეცნიერო, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას და აანალიზებს შეფასების შედეგებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვა ასპექტებთან ერთად, ორგანიზებას და კოორდინირებას უწევს აკადემიური და სასწავლო პერსონალის კომპეტენციების შეფასებას. თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იღებს გადაწყვეტილებებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტი ატარებს და იყენებს პროგრამის პერსონალის შეფასებას ლექტორის თვითშეფასების განხორციელებით; ლექტორის შეფასებით უნივერსიტეტის პერსონალის მიერ; სტუდენტთა გამოკითხვებით. უნივერსიტეტი არამხოლოდ სასწავლო გარემოს და საგნების, არამედ სასწავლო პერსონალის კომპეტენციების შეფასებისთვისაც იყენებს სტუდენტურ კითხვარებს. თუმცა, არაფერია ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ და იყენებენ თუ არა შეფასების შედეგებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გასაუმჯობესებლად. ამის სათანადო მტკიცებულებას არ იძლევა არც თვითშეფასების ანგარიში და არც განხორციელებული ინტერბიუები. დოკუმენტების შესწავლისა და გასაუბრებების ჩატარების შემდეგ, კვლავ უცნობია ტარდება თუ არა პერსონალის კმაყოფილების შეფასება.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, სხვადასხვა ღონისძიებები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის (მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ „საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს, გეგმავს სოციალურ-კულტურულ, საგანმანათლებლო და გასართობ ღონისძიებებს, უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, ამისთის იყენებს შიდა და/ან გარე რესურსებს“).
მტკიცებულება/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. ● თვითშეფასების ანგარიში; ● გასაუბრების შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ● უზრუნველყავით, რომ შეფასების შედეგები გამოიყენებოდეს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გაუმჯობესებისთვის. ● უზრუნველყავით, რომ შეფასების შედეგები იყოს გათვალისწინებული პერსონალის დაწინაურებისა და მათი მხარდაჭერისას. ● ჩაატარეთ პერსონალის კმაყოფილების შეფასება. ● დანერგეთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელმშემწყობი მექანიზმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი აუცილებელი პირობების გაუმჯობესება (მატერიალური, ფინანსური რესურსები).
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში:

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **<u>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი როგორც ეს აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში, სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და პროგრამის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია რეგულარულად განახლებადი წიგნადი ფონდით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრებით, სადაც არის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა (ANSYS, MathCAD, MathLAB, ArchiCAD, და სხვა). რეალურად, ბიბლიოთეკის ფონდი მდიდარი არ არის (ძალიან ბევრი ძველი წიგნია), თუმცა ბიბლიოთეკა ზოგიერთი ელექტრონული კვლევითი მონაცემთა ბაზის გამომწერია. მართალია თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ აუდიტორიები და პრაქტიკული გაკვეთილების ოთახები აღჭურვილია ტექნიკით, რომელიც პასუხობს მულტიმედიური სწავლების თანამედროვე მეთოდებს, თუმცა ადგილზე ვიზიტისას გამოვლინდა, რომ მხოლოდ რამდენიმე ოთახს აქვს მულტიმედია მოწყობილობები. ეს ფაქტი ბადებს ეჭვებს სწავლების მეთოდებთან მიმართებაში. პროგრამის უპირატესობად შესაძლოა განისაზღვროს ის მემორანდუმები, რომლებიც გაფორმებულია ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა საქართველოს ხელნაწერთა

ეროვნული ცენტრი და საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. მემორანდუმები ითვალისწინებენ ამ დაწესებულებებში დაცულ კულტურულ მემკვიდრეობაზე წვდომას და მათზე კვლევის ჩატარებას. საკვლევ ობიექტზე წვდომის პროცესი დოქტორანტებისთვის გამარტივებულია იმ ფაქტით, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ამ ორგანიზაციებში არიან დასაქმებული.
მტკიცებულება/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. ● თვითშეფასების ანგარიში; ● ადგილზე ვიზიტი;
რეკომენდაციები: წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ● გააუმჯობესეთ სწავლების ტექნიკური საფუძველი. ● განაახლეთ საბიბლიოთეკო რესურსები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში: ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს აქვს საკმარისი ბიუჯეტი ამ პროგრამის განსახორციელებლად. პროგრამის დასაფინანსებელი თანხა გამოყოფილია უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან (49 742 ლარი სამი წლისთვის). უნივერსიტეტი ირწმუნება, რომ ეს თანა უზრუნველყოფს პროგრამის აკადემიური და მოწვეული ლექტორების ხელფასებს სამეცნიერო და სასწავლო კომპონენტში, იგი ასევე მოიცავს ხარჯებს დოქტორანტების სამეცნიერო მივლინებებისთვის, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებისთვის, ნაშრომის საერთაშორისო რეფერირებისთვის და ფარავს დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო ხარჯებს. უნივერსიტეტი აცხადებს, რომ სწავლების წლიური ღირებულება სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია (2400 ლარი). გარდა ამისა, როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტებს, მოძებნონ დაფინანსების წყაროები, თუმცა ამის მტკიცებულებები არ იყო წარმოდგენილი.
მტკიცებულება/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. ● თვითშეფასების ანგარიში; ● გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები: წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სოციალურად დაუცველი ჯგუფის წევრი სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში: ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე [redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	მისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებათან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის შესამუშავებლად რეგულარულად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული მართვის ნაწილს. შიდა დაინტერესებული პირები (ყველა პირი, რომელიც მოქმედებს უნივერსიტეტის შიგნით, მათ შორის სტუდენტები აკადემიური/მოწვეული პერსონალი) ჩართული არიან მართვის პროცესში. პროგრამის პერსონალი და სტუდენტები თანამშრომლობენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. არსებობს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. ზემოთ თქმულის მხარდაჭერის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას უნდა ჰქონდეს ოფიციალური სტატუსი და იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ასახავს ურთიერთობას კვლევას, სწავლასა და სწავლებას შორის და ითვალისწინებს ეროვნულ კონტექსტს, რომელშიც უნივერსიტეტი ფუნქციონირებს, ასევე ინსტიტუციურ კონტექსტს და მის სტრატეგიულ მიდგომებს. ეს პოლიტიკა ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ორგანიზაციის დანერგვასა და განვითარებას; ფაკულტეტები და სხვა ორგანიზაციული ერთეულები, ასევე

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, თითოეული თანამშრომელი და სტუდენტი პასუხისმგებლები არიან ხარისხის უზრუნველყოფაზე; რთავენ გარე დაინტერესებულ პირებს ხარისხის უზრუნველყოფაში. ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს მთელი კოლექტივის, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პასუხისმგებლობას. წინა აკრედიტაციის სიტუაციასთან შედარებით, დიდი პროგრესი ფიქსირდება ხარისხის კულტურის გაგებისა და აღქმის კუთხით.
მტკიცებულება/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. ● უნივერსიტეტის წესდება და შიდა რეგულაციები; ● აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების მექანიზმი (რექტორის ბრძანება №033/01 12 ოქტომებრი 2017); ● საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები (რექტორის ბრძანება №052/01 5 დეკემბერი 2018); ● ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების კითხვარები; ● გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტებთან.
რეკომენდაციები: წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად შედეგიანი და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში: ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი უნივერსიტი იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფას თავისი მრავალფეროვანი ფორმებით და შესაძლებელია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობის შემოწმება, მუშაობს რა როგორც კატალიზატორი გაუმჯობესებისთვის და უნივერსიტეტს სთავაზობს ახალ პერსპექტივებს. იგი უნივერსიტეტსა და საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის შესახებ. მექანიზმები და პროცესები დოკუმენტირებულია. უნივერსიტეტი იყენებს როგორც პირდაპირ შეფასებებს მონიტორინგის გზით, ასევე პროგრამის ირიბ შეფასებას. გარე შეფასების ფორმებია სადოქტორო ნაშრომებისა და დოქტორანტების სამეცნიერო სტატიების განხილვა, უკუკავშირი ორგანიზაციებისგან და კომპეტენტური მეცნიერებისგან სადოქტორო პროგრამისა და შესრულებული დისერტაციების შესახებ და სხვა. პროგრამა შემუშავებულია ინტეგრირებული შიდა და გარე შეფასების პროცედურების ხარჯზე, რათა გაუმჯობესდეს დაგეგმილი სწავლის შედეგები და მიღწევადი იყოს შემდეგი პრინციპით: ორგანიზაცია ხარისხის უზრუნველყოფას აღიქვამს, როგორც უწყვეტ პროცესს, რომელიც არ მთავრდება გარე უკუკავშირის, ანგარიშის მიღებით ან დამატებითი პროცესებით, რომლებიც უნივერსიტეტში მიმდინარეობს. პროგრამა იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.
მტკიცებულება/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. ● საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები (რექტორის ბრძანება №052/01 5 დეკემბერი 2018); ● ანგარიში შეადგინა გარე ექსპერტმა საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან; ● მომავალი დოქტორანტების ინდივიდუალური სამუშაო გეგმა; ● სსიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი.ს რექტორის ბრძანება N052/01 2018.05.12 საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების დამტკიცების შესახებ.
რეკომენდაციები: წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში: ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების,

კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით. პროგრამა მოდიფიცირდა ექსპერტთა რეკომენდაციით, რომელიც მიიღეს პირველი აკრედიტაციის პროცესის შემდეგ. ორგანიზაციაში ციკლის „დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე“ პირველი ეტაპის კარგი გაგება და მართვაა - პროგრამის დაგეგმვა და მომზადება განხორციელებისთვის. პროგრამის შემუშავების წინაპირობა იყო მრავალი საკონსულტაციო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. პოტენციული დამსაქმებლები ასევე ჩართულნი არიან პროგრამის შემუშავებასა და სწავლის შედეგების განსაზღვრაში. კერძოდ: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტი, ჭიათურის მუზეუმი და საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო აკადემია.
მტკიცებულება/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. ● უნივერსიტეტის წესდება და შიდა რეგულაციები; ● სპეციალური კითხვარები სტუდენტთა აკადემიური საქმიანობის მონიტორინგისა და ანალიზისთვის. ● უნივერსიტეტის ვებგვერდის პერიოდული მონიტორინგის შედეგები; ● საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები (რექტორის ბრძანება N052/01 2018.05.12).
რეკომენდაციები: წინადადებ(ებ)ა, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უსდ-მ პერიოდულად უნდა ჩაატაროს აკადემიური პროგრამის ანალიზი საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან მიმართებით. ამ მიდგომის გამოყენებით, რეკომენდებულია სწავლების დარგში თანამედროვე ტენდენციების გაგება, რათა იყოთ თანამედროვეობას მორგებული.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტურია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში: ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფანჯარა, რომელიც უმეტესწილად აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ სპეციფიკურ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს საპატრიარქოს წმ. თამარ მეფის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სახელი, გვარი, ხელმოწერა, რამუნე ბალევიჩიუტე-ლიუგიენე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ ჩხეიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო სანადირაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქრისტინე ჩიხლაძე